შპს „SAYALI"
ს/კ 406057804
იურიდ. მის: თბილისი, დ.უზნაძის 58, უ.ჩხეიძის 17
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, უ.ჩხეიძის 6, მე-2 სართ.
ტელ: (+995032) 295-12-12, 577007012
ელ.ფოსტა: info@sayali.ge

№-43

22 დეკემბერი 2015 წელი.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
თავმჯდომარეს ქ-ნ ეკატერინე სისაურს

ქ-ნო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ ძირითადი საბანკო ანგარიშები გაგვაჩნია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ში. გავითვალისწინეთ რა აშშ სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოსტოს (OPIC) რეკომენდაციები, საბანკო ანგარიშსწორების და ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის გამარტივების და ოპტიმიზაციის მიზნით სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-დან გამოთხოვილი იქნა საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების საბანკო გარანტია, სადაც გათვალისწინებულია ნასყიდობის ხელშეკრულებაში განხორციელებული ყველა ცვლილება.

გიდგენთ სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს 2015 წლის 21 დეკემბრის N BGCP0743/181215 საბანკო გარანტიას და გთხოვთ დაგვიბრუნოთ სს „პაშა ბანკი საქართველო" საბანკო გარანტიები.

დანართი: საბანკო გარანტია „ 2 „ ფურცლად.

პატივისცემით,

დირექტორი: მამედ სულეიმანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა
შემოსავლის № 104558/04
„22" 12 2015 წ.
ფასი

21.12.15 №

საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების საბანკო გარანტია N. BGCP0743/181215

გარანტი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“(ს/კ 202906427)
პრინციპალი: შპს „SAYALI", ს/კ 406057804
ბენეფიციარი: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“
საგარანტიო თანხა: 1,200,000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"–სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის **N15/12/06** განკარგულების, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"–სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „SAYALI"–ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის **N1959** განკარგულების , „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"–სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის **N15/12/06** განკარგულებით, განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „SAYALI"–ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის **N1959** განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „SAYALI"–ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის N1542 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"–სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „SAYALI"–ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1959 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 02 დეკემბრის **N2147** განკარგულების, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"–სთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „SAYALI"–ის მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1959 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „SAYALI"–ის მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის **N452** განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე– სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“) და შპს „SAYALI"–ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება (მასში განხორციელებული: 3.01.2012წ., 5.03.2014წ., 22.12.2014წ., 22.04.2015წ., - ცვლილებების გათვალისწინებით, (შემდგომში – ნასყიდობის ხელშეკრულება). აღნიშნული განკარგულებებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებითგანსაზღვრული საპრივატიზებო პირობების (მათ შორის შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) შესრულების უზრუნველსაყოფად

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14
ტელეფონი:
+(995) 32 224-24-24
ფაქსი:
+(995) 32 293-32-91
SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.ge

პრინციპალმა ბენეფიციარს უნდა წარუდგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ ჩვენ, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", გ. ჭანტურიას ქ.№14, 0114 თბილისი, საქართველო, მზად ვართ უპირობოდ გადავიხადოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი თანხა არაუმეტეს 1,200,000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარისა, ბენეფიციარის მიერ წერილობითი ფორმაში წარმოდგენილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია პრინციპალის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შესახებ.

მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და გარანტიის მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის გაცემის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", გ. ჭანტურიას ქ.№14, 0114 თბილისი, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით

და/ან საბანკო გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით.

საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კორპორატიული ბიზნესის დირექტორი
ვლადიმერ რობაქიძე